სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები დისტანციური სწავლების დროს

ნინო ჩიხლაძე, ლედი მამულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სპეციალური განათლება

ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აღნიშნულ ნაშრომში გარკვეული პასაჟები გამოყენებულია ნინო ჩიხლაძის მიერ აკადემიური წერის კურსში „სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომის წერისას“.

ნინო ჩიხლაძე

ლედი მამულაძე

03/07/2021

აბსტრაქტი

შესავალი: გასული წლიდან, მსოფლიოში დაწყებულმა ვითარებამ კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებით, აიძულა სკოლები სწავლა დისტანციურად გაეგრძელებინათ, რაც ახალ გამოწვევას წარმოადგენდა. თავდაპირველად, ყველა მოსწავლისთვის რთული იყო არსებულ მდგომარეობასთან შეგუება, დროთა განმავლობაში კი მეტ-ნაკლებად მოახდინეს ადაპტირება. თუმცა სსსმ მოსწავლეებისთვის არსებული გამოწვევა დღემდე გამოწვევად რჩება, მათი საჭიროებები დისტანციური სწავლების დროს უფრო მეტად გამძაფრდა, შედეგად დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობა თითქმის ან საერთოდ ვერ ხდება. ჩვენი კვლევის მიზანი იყო, სამიზნე სკოლის პედაგოგებთან ერთად, შეგვემუშავებინა სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობები და ამ გზით ხელი შეგვეწყო მისი ჩართულობისთვის საგაკვეთილო პროცესში, დისტანციური სწავლების დროს. **მეთოდოლოგია:** მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე: „სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები დისტანციური სწავლების დროს", რომელიც ჩატარდა ქალაქ თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლის მე-5 კლასში, ინტერვენცია განხორციელდა მათემატიკის გაკვეთილზე. პრაქტიკის კვლევის მსვლელობისას გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები: კითხვარი საგნის მასწავლებლებისთვის, სპეციალური მასწავლებლისთვის, სსსმ მოსწავლის მშობელთან და დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე. **შედეგები:** შერჩეული მეთოდების გამოყენებით დავადგინეთ, თუ რა საჭიროებებს ხვდება სსსმ მოსწავლე დისტანციური სწავლების დროს კონკრეტულ საგნებში. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ და განვახორციელეთ ის ინტერვენციები, რომლებიც ჩვენი აზრით,იქნებოდა ეფექტური სსსმ მოსწავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. განხორციელდა ორი ტიპის ინტერვენცია: მშობლის მიერ ასისტირების გაწევა სსსმ მოსწავლისთვის და ასევე, გაკვეთილის

ადაპტირება მოსწავლის საჭიროებების მიხედვით. **დასკვნა და რეკომენდაციები:** ინტერვენციის შედეგების შეჯამების შედეგად გამოიკვეთა მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც აისახა სსსმ მოსწავლის მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლებაზე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის გაკვეთილი საინტერესო და პროდუქტიული იყო არა მხოლოდ სსსმ მოსწავლისთვის, არამედ მთლიანი კლასისთვის. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მშობლის მიერ ასისტირების გაწევა და გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობას დისტანციური სწავლების დროს.

საძიებო სიტყვები: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ინკლუზიური განათლება, დისტანციური სწავლება, მშობელთა ჩართულობა, გაკვეთილზე ჩართულობა.

Abstract

Introduction: Last year, the global pandemic situation forced the schools to continue their education remotely, which was a new challenge. At first, it was difficult for all students to adapt to the current situation, but over time they have more or less adapted. Although the challenge for SEN students remains a challenge to this day, their needs for distance learning have become even more acute, resulting in their involvement in the distance learning process becoming almost non-existent. As a result, the aim of our study was to work with the teachers of the target school to develop activities tailored to the needs of the SEN student and thus to facilitate his / her involvement in the teaching process during distance learning. **Methodology:** This master's thesis is a report of a practice research on the topic: "Needs of SEN students in distance learning", which was held in the 5th grade of Tbilisi's one of the Public School. In the course of the practice research, we used qualitative research methods: a questionnaire for subject teachers, a special teacher, a parent with a SEN student, and observation of the lesson process. **Results:** Using selected methods, we identified the needs of the SEN student in distance learning in specific subjects. Based on the analysis of the information received, we developed and implemented the interventions that we believe would be effective in meeting the needs of the SEN student. There were two types of interventions: parental assistance to the SEN student and adaptation of the lesson to the student's needs. **Conclusion and Recommendations:** Summarizing the results of the intervention revealed a significant improvement in student involvement in the teaching process, which was reflected in the increase in student motivation and self-esteem. Also, it should be noted that a similar type of lesson was interesting and productive not only for the SEN student but for the whole class. As a result, we can conclude that parental assistance and taking into account the needs of the student in the lesson planning process contribute to the involvement of the SEN student in the lesson during distance learning.

Research words: student with special educational needs, inclusive education, distance learning, parent involvement, lesson involvement.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სკოლის დირექტორს, ვინაიდან მისი მხარდაჭერის გარეშე კვლევა ვერ განხორციელდებოდა. ასევე, მადლობას ვუხდით ამავე სკოლის მე-5 კლასში შემსვლელ ყველა მასწავლებელს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ კვლევაში. უდიდეს მადლობას ვუხდით სსსმ მოსწავლის სპეციალურ მასწავლებელს და მშობელს, რომლებმაც აქტიურად და დაუღალავად ითანამშრომლეს ჩვენთან, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში.

ასევე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს თინათინ ჭინჭარაულს, რომელმაც მოგვცა დეტალური უკუკავშირი სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით.